08 IANUARIE
RUGĂCIUNEA
SF.MUCENIC
ABO DE LA TBILISI

სავედრებელი ლოცვა

ჱ, საკჳრველო და ჭეშმარიტად ახოვანო მოწამეო, აბო ტფილელო! ზეგარდამო ღმრთისა მიერ პატივცემულო და უჴორცოთა ძალთა მიერ შეწყნარებულო, მარტჳლთა შორის საჩინოო, მარხჳსა და ლოცჳსა სუეტო მტკიცეო, მოთმინებისა შეურყეველო გოდოლო, გლახაკთა ნუგეშინისმცემელო და ჩუენ ყოველთაგან სულიერთა და ჴორციელთა მტერთა განმდევნელო, სნეულთა მკურნალო, მშიერთა საზრდელო, მწყურვალთა სასუმელო, მწუხარეთა მხი-არულებაო, სასოწარკვეთილთა სასოებაო, უპოვართა ბრწყინვალეო სამოსელო, ცოდვილთა სინანულო და ყოველთა შენთა მვედრებელთა მსწრაფლ შემწეო და თხოვათა აღმასრულე-ბელო!

ჶ, ყოვლად ქებულო, დიდო მოწამეო აბო! სიქადულო ერისა ჩუენისაო და მცველო ტფილის-ქალაქისაო, მოგჳსენენ წინაშე ღმრთისა, რომლისა სიყუარულითა სისხლი დასთხიე, სანატრელო, და ვითარცა გაქუს კადნიერებაჲ დიდი, ერი ჩუენი განსაცდელთაგან და ჭირთაგან შეცული იჳსენ ოხითა შენითა, რაჲთა წყალობისა წილ არა მოვიღოთ სასჯელი კადნიერებისაჲ, რამეთუ დავივიწყეთ კეთილმოქმედებაჲ წინაპართა ჩუენთაჲ და სული ძუელისა პატიოსნებისაჲ, ძმათა ერთსულობაჲ, მორჩილებაჲ მამათაჲ და სული მამაცობისაჲ განდრეკილ იქმნა ჩუენგან. ნაცულად ამისა შევიყუარეთ ამსოფლიური განცხრომაჲ, დავსტკბით გემოთმოყუარებასა შინა, გულნი ჩუენნი აღივსნეს ანგარებითა და მივემსგავსეთ ერთა უცხო თესლთა და ნათესავთა აღბორგებულთა, საწუთოჲსა ამის მოყუარეთა, განდგომილთა ქრისტჱსგან, რომელთაგან ვისწავეთ საქმენი მათნი და ვჰმონებთ გულის თქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძჳთა მათითა, ვითარცა უსასოონი

ქრისტჱსგან და დამვიწყებელნი საუკუნოჲსა ცხორებისანი. ამისთჳს სიყუარული იგი ქრისტჱსი ჩუენდამო და სარწმუნოებაჲ ჩუენი მისა მიმართ კუალად განაახლე და მოგუეც საღმრთოჲ მოშურნეობაჲ მამულისაჲ, სიმართლისა სიყუარული და მჴნეობაჲ სულისაჲ, აღგვავსენ საღმრთოჲთა მღვიძარებითა და მოგუანიჭე ცხორებისა სიწმიდჱ და შიში ღმრთისაჲ. ეგედრე, სანატრელო, შენ მიერ შეყუარებულსა ტკბილსა იესუს, რაჲთა დაიცვას მამული ჩუენი მტერისა საბრჴისაგან და ძმათა მტერობისაგან, და წყალობითა მოხედოს დედისა თჳსისა წილხდო-მილსა ერსა ჩუენსა, მტჴრთველსა საუფლოჲსა ჯუარისაჲსა ქუეყანასა ზედა, და ნუ მისცემს სამკჴდრებელსა ჩუენსა საყუედრელად მტერთა, რაჲთა არა ჰსთქუან წარმართთა და მწვალებელთა, სადა არს ღმერთი მათი, რომლისა მიმართ აქუთ სასოებაჲ. განაძლიერე მსახურებასა და მოღუაწებასა შინა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოჲს კათალიკოს-პატრიარქი,

მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფჱ, მამაჲ ჩუენი ილია, ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, ყოველნი სამღდელო და სამონაზვნო წესნი და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტეანენი. განანათლე ქრისტჱსმოყუარე მთავრობაჲ და მჴედრობაჲ მისი პატიოსნითა მეოხებითა დაიცუენ.

ჱ, ჭეშმარიტო და ღმრთივგანბრძნობილო მოწამეო, აბო ტფილელო! შეგვეწიენ აღმოსლვად სიღრმეთაგან ცოდვათასა და დაგვიფარენ სიყმილისაგან, სრვისა, ძრვისა, ცეცხლისა, მახჳლისა, ზედა აღძრვისაგან და მოსლვისა უცხო თესლთასა და თჳსთა შორის ბრძოლისაგან, უცნაურისა სიკუდილისა, განმხრწნელისაგან ქარისა, და ყოვლისა სიკუდიდშემოსილისა წყლულებისა, და ყოვლისაგან ბოროტისა. მოგუეც მშჳდობაჲ და სიმრთელჱ მონათა და

მჴევალთა ამათ შენთა ქრისტეანეთა მართლმადიდებელთა. განანათლენ გონებაჲ ჩუენი და თუალნი გულისა ჩუენისანი, რაჲთა კეთილითა ცხორებითა ღირს ვიქმნნეთ სასუფეველსა ცათასა. ნუ დააცადებ, ღუაწლისა მძლეო, მეოხებასა შენსა მვედრებელთა შენთათჳს, რომელნი წლითი-წლად მოჴვლტით ქებად, გალობად და თაყუანისცემად სამარტჴლოჲსა შენისა! ნუ დააცადებ მეოხებასა შენსა წინაშე შემოქმედისა ყოველთასა, რომელსა შუენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღირს არს ჭეშმარიტად, რაჲთა გადიდებდეთ შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად უბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა, უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო, შეგვწყალენ (3-გზის).

უფალო, იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისაჲთა, წმიდისა დიდებულისა და ყოვლად ქებულისა მოწამისა აბო ტფილელისაჲთა, და ყოველთა წმიდათაჲთა, შეგვწყალენ ჩუენ, ამინ.

ავტორ-შემდგენელი: თინათინ მჭედლიშვილი